



აღმოსავლეთის ანტიკორუფციის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
სამართლებრივი ეროვნული პლატფორმა



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 16 იანვარი, 2015 წელი

დრო: 16:00– 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: რედისონ ბლუ ივერია

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ნათია კუპრაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
3. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
4. ნინო ჩხოზაძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები - საქართველო
5. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
6. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი";
7. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
8. ლევან ბოჭორიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

განსახილველი საკითხები:

- ❖ საერთო კრების საორგანიზაციო საკითხები
- ❖ წესდების განხილვა
- ❖ სხვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

საკოორდინაციო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა საერთო კრების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც წარმოდგენილია საბჭოს სახით.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ თითოეული თემატურ ჯგუფი გამართავს სამუშაო შეხვედრებს, სადაც დეტალურად განიხილება პლატფორმის წესდება და საერთო კრების საორგანიზაციო საკითხები. ჯგუფის შეხვედრები გაიმართება შემდეგი თანმიმდევრობით: **პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა** - 23 იანვარი, **მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა** - 22 იანვარი, **მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა** - 23 იანვარი, **მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა** - 24 იანვარი.

შეხვედრის ბოლოს საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საერთო კრების ჩატარების თარიღზე. გადაწყდა, რომ საერთო კრება გაიმართება 2015 წლის 11 თებერვალს. საერთო კრებაზე კენჭისყრის საფუძველზე მოხდება ახალი საკოორდინაციო საბჭოს არჩევა. სამუშაო ჯგუფებს ექნებათ შესაძლებლობა 2 თებერვლამდე სამდივნოს წარუდგინონ ჯგუფების კოორდინატორების კანდიდატურები.

საბჭოს წევრებმა განიხილეს წესდებაში შესატანი შესაძლო ცვლილებები, სამუშაო ვერსია პლატფორმის საერთო ჯგუფში დაიგზავნება ორშაბათს.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია